

შპს “იუ ენდ ჯი ეჯენსი“-ს

საწყისი ფინანსური ანგარიშგება და განმარტებები

2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

ასარჩევი

საწყისი სრული შემოსავლისა და კაპიტალში ცვლილების ანგარიშგება.....	3-4
საწყისი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	5-6
საწყისი ფულადი ნაკადების ანგარიშგება.....	7
საწყისი ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები	8-14

საწყისი სრული შემოსავლისა და კაპიტალში ცვლილების ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

	შენიშვნები	31-12-18	31-12-17
აქტივები			
ფული და ფულის ეკვივალენტები	6	4,296,395	2,231,774
სავაჭრო მოთხოვნები	7	3,139,333	2,508,775
გადახდილი ავანსები		30,726	16,225
მარაგები		-	-
მზა პროდუქცია		-	-
სხვა		-	-
საინვესტიციო ქონება		-	-
სხვა მიმდინარე აქტივები	8	1,358	405
ბიოლოგიური აქტივები		-	-
თვითღირებულების მოდელით		-	-
გადაფასების მოდელით		-	-
გუდვილი		-	-
სხვა არამატერიალური აქტივები	9	-	-
ძირითადი საშუალებები	9	94,551	116,429
ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში		-	-
ინვესტიციები სხვა საწარმოთა		-	-
წილობრივ ინსტრუმენტებში		-	-
სხვა გრძელვადიანი აქტივები		-	-
სულ აქტივები		7,562,362	4,873,607
ვალდებულებები			
ფინანსური იჯარის ვალდებულება		-	-
სავაჭრო ვალდებულებები	10	3,695,017	1,750,791

ვალდებულებების და ხარჯების ანარიცხები		-	-
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ		-	-
საგადასახადო ვალდებულებები	11	-	-
გამოუმუშავებელი შემოსავალი		-	-
მიმდინარე სასესხო ვალდებულებები		-	-
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები		-	-
მიღებული გრანტები		-	-
სხვა ვალდებულებები	12	73,350	201,187
სულ ვალდებულებები		3,768,367	1,951,978
საკუთარი კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალი')	13	6,088	-
საემისიო შემოსავალი		-	-
გამოსყიდული საკუთარი აქციები		-	-
გაუნაწილებელი მოგება / ზარალი		3,787,907	2,921,629
გადაფასების რეზერვი		-	-
სხვა რეზერვები		-	-
სულ საკუთარი კაპიტალი		3,793,995	2,921,629
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		7,562,362	4,873,607

საწყისი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

	შენიშვნები	2018 წელი
ნეტო ამონაგები		33,342,879
საქონლის გაყიდვიდან		-
მომსახურების გაწევიდან	3	33,342,879
სამშენებლო ხელშეკრულებებიდან		-
სხვა		-
რელიზებული პროდუქციის თვითღირებულება		-
საწყისი მარაგები		-
მარაგების შესყიდვა		-
გადამუშავების დანახარჯები		-
საბოლოო მარაგები		-
საერთო მოგება		33,342,879
სხვა შემოსავალი		-
დასაქმებულთა ანაზღაურება (-)		(870,859)
ცვეთა და ამორტიზაცია (-)		(25,950)
საპროცენტო შემოსავალი		74,914
საპროცენტო ხარჯი (-)		-
იჯარის ხარჯი (-)		(104,556)
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი (-)	4	(28,969,390)
სულ საოპერაციო ხარჯები		(29,895,841)
საოპერაციო მოგება		3,447,038
გაუფასურების (ხარჯი)/ რევერსირება:		
ფინანსური აქტივები (-)		-
მარაგები (-)		-
სხვა არაფინანსური აქტივები (-)		-
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) სავალუტო ოპერაციებიდან		19,240
მიღებული დივიდენდები		-
სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი/ (ხარჯი)		-

მოგება/(ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან		3,466,278
მოგების გადასახადი (-)	5	(195,000)
მოგება/(ზარალი)		3,271,278
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):		
ძირითადი საშუალების (მათ შორის ბიოლოგიური აქტივის) გადაფასების რეზერვი		-
სხვა (მათ შორის წილი ერთობლივი და მეკავშირე საწარმოების უძრავი ქონების გადაფასების რეზერვი და დადგენილ გადასახდელიანი პროგრამები)		-
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი), სულ		-
მთლიანი სრული შემოსავალი/ (ზარალი)		3,271,278
საკუთარი კაპიტალის საწყისი ნაშთი (პერიოდის საწყისი ნაშთი)		2,921,629
ახალი აქციების გამოშვება (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალის გაზრდა' , კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალის გაზრდა')		6,088
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)		(2,405,000)
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში		3,271,278
კაპიტალის სხვა ცვლილებები		-
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს		3,793,995

საწყისი ფულადი ნაკადების ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

	2018 წელი
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	2,049,453
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	(4,072)
წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან	-
წმინდა ზრდა (კლება) ფულსა და ფულის ეკვივალენტებში	2,045,381
სავალუტო კურსის ეფექტი	19,240
 ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში	 2,231,774
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს	4,296,395

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „იუ ენდ ჯი ეჯენსი“ (ს/ნ 405167983) (შემდგომში „კომპანია“) რეგისტრირებულია 2016 წლის 22 სექტემბერს. კომპანიის იურიდიული მისამართი და საქმიანობის ძირითადი ადგილი არის საქართველო, ქ. თბილისი, ვაკე-საბურთალოს რაიონი, გამზირი ალ. ყაზბეგი N 12ა. შპს „იუ ენდ ჯი ეჯენსი“-ს მესაკუთრეები არიან: 1) შპს „ბლექ სი ტრანს კომპანი“ (ს/ნ 415097629) - 50%; 1) შპს „გლობალტრანსპარომ“, უკრაინა, (ს/ნ 36951700) - 50%. კომპანიის დირექტორი არის ედუარდ მერაბიშვილი (პ/ნ 01010001666). კომპანიის ძირითადი საქმიანობა არის საერთაშორისო და ადგილობრივი საგზაო, სარკინიგზო და საზღვაო სატვირთო სატრანსპორტო და მასთან დაკავშირებული დამხმარე მომსახურებები.

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად. იგი წარმოდგენილია საქართველოს ეროვნულ ვალუტაში - ლარში.

ამონაგების აღიარება

ამონაგები მომსახურების გაწევიდან აღიარდება დამკვეთსა და შემსრულებელს შორის ინვოისის თარიღით, რომელიც დასტურია იმისა, რომ შემსრულებელმა დამკვეთს გაუწია მომსახურება. გაწეული მომსახურების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით საქართველოს საგადასახადო კოდექსით (სკს) გათვალისწინებული რეალიზაციასთან დაკავშირებული გადასახადების გამოკლებით.

მოგების გადასახადი

სკს-ს მიხედვით საწარმოების მიერ მიღებული წლიური მოგება, გარდა ბანკებისა, სადაზღვევო კომპანიებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა, 2017 წლის 1 იანვრიდან არ იბეგრება.

მოგების გადასახადით დაიბეგრება დივიდენდების სახით იმ აქციონერებზე განაწილებული მოგება, რომლებიც არიან ფიზიკური პირები ან არარეზიდენტები საქართველოში, რომელიც დაანგარიშდება განაწილებული წმინდა თანხიდან 15/85 განაკვეთის გამოყენებით. იმ შემთხვევაში თუ დივიდენდები განაწილებულია 2008-2016 წლებში დაგროვილი გაუნაწილებელი მოგებიდან, მაშინ მოგების გადასახადის ვალდებულება საწარმოს არ წარმოეშვება. საქართველოს საგადასახადო სისტემის თავისებურებიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებულ საწარმოებს არ წარმოეშობათ გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები. კომპანიის აქციონერებისთვის დივიდენდის

განაწილებასთან დაკავშირებით დაკავებული გადასახადი საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებაში აღიარებულია კაპიტალიდან გამოქვითვის სახით.

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა ასევე ითვალისწინებს მოგების გადასახადით გარკვეული ოპერაციების დაბეგვრას, რომლებიც შეიძლება ჩაითვალოს მოგების განაწილებად (მაგალითად, არასაბაზრო ფასებით აღრიცხული გარიგებები, ეკონომიკურ საქმიანობასთან დაუკავშირებელი ხარჯები, ან საქონლისა და მომსახურების უსასყიდლო მიწოდება და სხვა). ამგვარი გარიგებების დაბეგვრა აღირიცხება საოპერაციო გადასახადების ანალოგიურად და გაცხადდება, როგორც სხვა გადასახადები მოგება-ზარალის ანგარიშგების სხვა არასაოპერაციო ხარჯებში.

აქტივებისა და ვალდებულებების კლასიფიკაცია მოკლე და გრძელვადიანად

კომპანია აქტივებსა და ვალდებულებებს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოადგენს მათი მოკლე და გრძელვადიანად კლასიფიკაციის საფუძველზე.

აქტივი მოკლევადიანია, როდესაც:

- ▶ მოსალოდნელია მისი რეალიზება ან გადაწყვეტილია მისი გაყიდვა ან მოხმარება ჩვეულებრივი საოპერაციო ციკლის განმავლობაში;
- ▶ ფლობის ძირითადი მიზანია ვაჭრობა;
- ▶ მოსალოდნელია მისი რეალიზება ანგარიშგების პერიოდიდან თორმეტი თვის განმავლობაში; ან
- ▶ აქტივი წარმოადგენს ფულად სახსრებს და მათ ეკვივალენტებს, თუ არ არის შეზღუდული მისი გადაცვლა ან გამოყენება ვალდებულების დასაფარად მინიმუმ თორმეტი თვის განმავლობაში ანგარიშგების პერიოდის შემდეგ.

ყველა დანარჩენი აქტივი გრძელვადიანია.

ვალდებულება მოკლევადიანია, როდესაც:

- ▶ მოსალოდნელია მისი დაფარვა ჩვეულებრივი საოპერაციო ციკლის განმავლობაში;
- ▶ ფლობის ძირითადი მიზანია ვაჭრობა;
- ▶ დასაფარია ანგარიშგების პერიოდიდან თორმეტი თვის განმავლობაში; ან
- ▶ ანგარიშგების პერიოდის შემდეგ ვალდებულების დაფარვის მინიმუმ თორმეტი თვით გადავადების უპირობო უფლება არ არსებობს.

ყველა დანარჩენ ვალდებულებას კომპანია „გრძელვადიანის“ კატეგორიას მიაკუთვნებს.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალების შეფასება ხდება დაგროვილი ცვეთით შემცირებული თვითღირებულების თანხით.

ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდით. ძირითად საშუალებებზე ცვეთის დასარიცხად გამოიყენება წლების შემდეგი რაოდენობა

ძირითადი საშუალებების დასახელება	სასარგებლო გამოყენების ვადა
სატრანსპორტო საშუალებები	5 წელი
ოფისის აღჭურვილობა და ინვენტარი	4 წელი

თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ცვეთის ნორმა ან აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

იჯარა

იმის განსაზღვრა, შეთანხმება წარმოადგენს (ან შეიცავს) თუ არა იჯარას, ხდება იჯარის დასაწყისში, შეთანხმების არსიდან გამომდინარე. შეთანხმება წარმოადგენს ან მოიცავს იჯარას, თუ მისი შესრულება დამოკიდებულია გარკვეული აქტივის (ან აქტივების) გამოყენებაზე და შეთანხმება ასახავს აქტივის (ან აქტივების) გამოყენების უფლებას მაშინაც კი, თუ ეს აქტივი (ან აქტივები) მკაფიოდ არ არის მითითებული შეთანხმებაში.

კომპანია, როგორც მოიჯარე

აქტივის კლასიფიცირება ხდება იჯარის საწყისი თარიღით ფინანსურ ან საოპერაციო იჯარად.

იჯარა, რომელიც გადასცემს საკუთრებასთან დაკავშირებულ არსებითად ყველა რისკსა და სარგებელს კომპანიას, კლასიფიცირდება ფინანსურ იჯარად.

საოპერაციო იჯარა არის ისეთი ტიპის იჯარა, რომელიც არ შეიძლება ჩაითვალოს ფინანსურ იჯარად. საოპერაციო იჯარის გადასახდელების აღიარება ხდება საოპერაციო ხარჯად სრული შემოსავლის ანგარიშგებაში იჯარის ვადაზე დარიცხვის წრფივი მეთოდით.

კომპანია, როგორც მემიჯარე

იჯარას, რომლის დროსაც კომპანია არ გადასცემს აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა რისკსა და სარგებელს, საოპერაციო იჯარად კლასიფიცირდება. საიჯარო ქირის აღიარება ხდება შემოსავლის სახით იმ პერიოდში, როდესაც მოხდა მისი მიღება.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოდგენილი ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები შედგება ბანკში ფულის ნაშთისგან.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

რეალიზაცია, ძირითადად, ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით და დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი. ამგვარი მტკიცებულების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული საქართველოს ბანკის ეროვნული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

3. ამონაგები

	2018 წელი
	ლარი
შემოსავალი სატრანსპორტო მომსახურებიდან	33,342,879

4. ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები

	2018 წელი
	ლარი
სატრანსპორტო მომსახურებასთან დაკავშირებული ხარჯი	28,865,755
საოფისე ინვენტარის ხარჯები	440
საკანცელარიო ხარჯები	3,969
კომპიუტერის აქსესუარების ხარჯი	6,127
საფოსტო გზავნილების ხარჯი	1,635
კომუნიკაციის ხარჯი	12,526
კომუნალური ხარჯი	6,812
საწვავის ხარჯი	23,495
სატრანსპორტო საშუალებების საექსპლუატაციო ხარჯი	13,174
საკონსულტაციო მომსახურების ხარჯი	14,407

საგადასახადო ხარჯი	1,083
საბანკო მომსახურების ხარჯი	5,337
სამეურნეო ხარჯი	150
მივლინების ხარჯი	8,613
წარმომადგენლობითი ხარჯი	1,000
სხვა ხარჯი	4,867
	28,969,390

5. მოგების გადასახადი

2018 წლის საანგარიშო პერიოდში რეზიდენტ საწარმოზე გაცემულმა დივიდენდმა შეადგინა 1,300,00 ლარი, რომელსაც სკს-ს მოთხოვნების შესაბამისად არ ერიცხება მოგების გადასახადი, ხოლო არარეზიდენტ საწარმოზე გაცემულმა დივიდენდმა შეადგინა 1,105,000 ლარი, შესაბამისად მოგების გადასახადმა შეადგინა 195,000 (1,105,000/0,85*0,15) ლარი.

6. ფული და ფულის ეკვივალენტები

	<u>2018 წელი</u>	<u>2017 წელი</u>
	ლარი	ლარი
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	3,578,487	1,177,223
უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში	717,908	1,054,551
ბანკის სადეპოზიტო ანგარიში	0	0
	4,296,395	2,231,774

7. სავაჭრო მოთხოვნები

	<u>2018 წელი</u>	<u>2017 წელი</u>
	ლარი	ლარი
მოთხოვნები მომსახურების გაწევიდან	3,139,333	2,508,775
	3,139,333	2,508,775

8. გადახდილი ავანსები

	<u>2018 წელი</u>	<u>2017 წელი</u>
	ლარი	ლარი
ავანსად გადახდილი ხელფასები	0	1,000
ავანსად გადახდილი სახელმწიფო ხაზინაში	30,726	15,225
	30,726	16,225

9. ძირითადი საშუალებები

	სატრანსპორტო საშუალებები	ოფისის აღჭურვილობა/ ინვენტარი	სულ
მთლიანი საბალანსო ღირებულება			
ნაშთი 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	125,828	2,085	127,913
შემოსვლები	0	4,072	4,072
გასაღებები	0	0	0
2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	125,828	6,157	131,985
ცვეთა/ამორტიზაცია			
2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	11,235	249	11,484
ცვეთის დანარიცხი	25,166	784	25,950
გასვლები	0	0	0
2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	36,401	1,033	37,434
წმინდა საბალანსო ღირებულება			
2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	89,427	5,124	94,551
წმინდა საბალანსო ღირებულება 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	114,593	1,836	116,429

10. სავაჭრო ვალდებულებები

	<u>2018 წელი</u>	<u>2017 წელი</u>
	ლარი	ლარი
ვალდებულებები მომსახურების მოწოდებიდან	3,695,017	1,750,791
	<u>3,695,017</u>	<u>1,750,791</u>

13. სხვა ვალდებულებები

	<u>2018 წელი</u>	<u>2017 წელი</u>
	ლარი	ლარი
მიღებული ავანსები	73,350	201,187
	<u>73,350</u>	<u>201,187</u>

14. საწესდებო კაპიტალი

ჯგუფის საწესდებო კაპიტალი 2018 წლის 01 იანვრისთვის შეადგენდა 0 ლარს, ხოლო 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით - 6,088 ლარს და მას სრულად ფლობენ დამფუძნებლები.

15. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

დირექტორთა საბჭომ ფინანსური ანგარიშგება დაამტკიცა და მისი გამოცემის ნებართვა გასცა 2019 წლის 25 სექტემბერს.

შპს „იუ ენდ ჯი ეჯენსი“-ს

დირექტორი: ედუარდ მერაბიშვილი



Handwritten signature in blue ink.